საქართველოს კანონი

„სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 27.06.2024, სარეგისტრაციო კოდი: 340000000.05.001.102284) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-16 მუხლის:

ა) „ა.ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ა.დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) 2026 წლის 1 ივლისამდე – მონაცემთა ბაზების შენახვის ვადებისა და პროცედურების განსაზღვრის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა;“;

დ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) 2028 წლის 1 იანვრამდე – დაფინანსების განაცხადების მართვის, გადახდებისა და ფინანსური აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემის წარმოების წესის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დამტკიცება.“.

2. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის:

ა) მე-10 მუხლი (გარდა მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა), მე-13 მუხლი (გარდა პირველი პუნქტისა, მე-2 პუნქტის „გ“–„ე“ ქვეპუნქტებისა და მე-3 და მე-4 პუნქტებისა) და მე-14 და მე-15 მუხლები ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან;

ბ) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და მე-13 მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 პუნქტის „გ“–„ე“ ქვეპუნქტები და მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2028 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

10 დეკემბერი 2025 წ.

N1194-IVმს-XIმპ